ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2549111

ნომერი: AR1392748

თარიღი : 15.04.2016

გაცემის თარიღი : 18.04.2016

გაცნობის თარიღი : 18.04.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ბ , (ნაკვ. 8/6) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი სონგულია პ/ნ 60001015840
- ქუთაისი, მერაბ კოსტავას 63

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება შ.პ.ს. "ალიანსი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.14.07.008.123) I კლასის დროებითი ღობის მოწყობას. დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი (მრავალფუნქციურ) შენობის მშენებლობა, სამსახური ცალკე დამოუკიდებლად I კლასად ვერ გასცემს თანხმობას დროებითი სამშენებლო ღობის განთავსებაზე. მიწის ნაკვეთზე შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების თვალსაზრისით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.